ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

რეზნიჩენკოს(?) ქუჩაზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ღლონტის(?) ...თინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцiю „Дроэба“ и „Иверiи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვრილებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკომტოთ(?) ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

---

## ტელეგრამმები

(სალხთა შორის სააგენტოსი)

**სტამბოლი**, 18 ივლისს. დღეს ინგლისის ელჩმა გოშენმა ინახულა ხონთქარი, დესპოტობის და საბერძნეთის საზღვრის საქმეების თაობაზე. ხონთქარმა უპასუხა გოშენს, „რომ ვითარცა კონსტიტუციონალური ხელმწიფე, მე ვალდებული ვარო ამ საქმეთა გარდაწყვეტა პორტას მივანდოვო.

**პეტერბურღი**, 18 ივლისს. დღეს სადამოს ვარშავის რკინის გზის მატარებლით პეტერბურღში მოვიდა ცესენვი(?).

**ბერლინი**. დღეს მოვიდა აქ იაპონის ელჩი იანახივარ.

**ბადენი**. გორჩაკოვი ვილდბადესაკენ წავიდა.

---

## გაზეთის „ობზორის“ შეჩერება

ტფილისი, 19 ივლისს.

დღეს დილით, „ობზორის“ ნომრის მაგიერ, ამ გაზეთის ხელის-მომწერლებს რედაქციამ შემდეგი განცხადება დაურიგა:

„კავკასიის ცენზურის კომიტეტმა მიიღო დღეს გარდაწყვეტილება, რომ „ობზორის“ შესახებ ისელმძღვანელოს კანონთა კრების II ტომის 531 მუხლითა და ცენზურის წესდების მე-68 მუხლითა ამავე წესდების მე-69 მუხლის მაგიერ, რომლითაც დღემდინ ხელმძღვანელობდა. ეს გარდაწყვეტილობა ყოველ ღონის-ძიებას უსპობს რედაქციას გაზეთის გაგრძელებისას. ამის გამო რედაქცია თავის მოვალეობათ სთვლის, რომ ხელ-ახლად შეაჩეროს „ობზორის“ გამოცემა.“ რედაქტორი ნ. ნიკოლაძე.

თუმცა ამ განცხადებაში სწერია, რომ „რედაქცია თავის მოვალეობათა სთვლისო (?), რომ ხელ-ახლად შეაჩეროს გაზეთის გამოცემაო“; მაგრამ არა გვგონია, რომ ამ გაზეთმა ოდესმე კიდევ იხილოს დღის სინათლე; ამაში გვარწმუნებს სხვათა შორის ისიც, რომ თვითონ რედაქციას ზემო-მოყვანილ თავის განცხადებისათვის შავი, სამგლოვიარო არშია შემოუვლია, ისეთი არშია, რომლისაც მიცვალებულის განცხადებას შემოავლებენ ხოლმე...

რა არის მიზეზი „ობზორის“ გარდაცვალებისა?—

თვითონ რედაქცია აცხადებს: ახლანდელი ცენზურის სისასტიკეო. იქნება ესეც იყოს, თუმცა გამოცხადებული მიზეზი ხშირად ნამდვილი მიზეზი არის გაზეთის შეჩერებისა და მიცვალებისა: „ტფილისის მოამბის“ რედაქციამაც კი გამოაცხადა ამას წინად, რომ გაზეთს იმიტომ ველად გამოვსცემთ, რომ რედაქტორი ვერ გვიშოვნიაო, მაგრამ მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ნამდვილი და ჭეშმარიტი მიზეზი „ტფ. მოამბის“ შეჩერებისა სრულებით ეს არ იყო, არამედ მატერიალურ ღონის-ძიების ნაკლებობა, ანუ უბრალო სიტყვებით რომ ვსთქვათ—უფულობა.

მაგრამ ჩვენ არ გამოვედევნებით „ობზორის“ შეჩერების ნამდვილ მიზეზის შეტყობას. უეჭველი მხოლოდ ეს არის, რომ როგორც საზოგადოთ მთელს რუსეთში, ისე ჩვენშიაც იქნება უფრო პროვინციალური დრო-გამოშვებითი ლიტერატურა ისეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომლიდამაც გამოსვლას ყველა ნატრობს, ყველა მოუთმენელად მოელის... და ამის გამო შესაძლებელია, რომ უმთავრესი თუ არა, ერთი მიზეზთაგანი „ობზორის“ შეჩერებისა, თუ საუკუნოდ მოსპობისა არის მართლა ცენზურის მხრით ცოტა მომეტებული სისასტიკე.

ერთი მიზეზი იყო თუ მეორე, საქმე იმაშია, რომ ერთი მოძმე მოაკლდა ტფილისის დრო-გამოშვებით გამოცემაებსა და დღეს ჩვენ იმაზედ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ—სამწუხაროდ უნდა მივაჩნდეს ჩვენ ეს მოძმის სიკვდილი, თუ არა?

მკითხველთან ბოდიშს ვიხდით, თუ ამ საგნის ასახსნელად ცოტა შორიდამ დავიწყოთ ლაპარაკი:

ჩვენის აზრით, განათლებულ ევროპის დრო-გამოშვებით გამოცემაებს (გაზეთებს) და ჩვენებურებს ამ ჟამად სხვა-და-სხვა მიზანი და მიმართულება უნდა ჰქონდესთ. იქ, განათლებულს ევროპაში, გაზეთს მაინცა-და-მაინც რომელიმე ახალი აზრების გამოთქმასა და განმარტებას არ მოსთხოვენ; ათასი ჟურნალები და წიგნები გამოდის იქ მუდამ დღე და ეს საქმე იმათ უკისრნიათ; გაზეთს კი ყველაზე პირველად და უმთავრესად ახალ ამბებს მოსთხოვენ და თავის პარტიისა და მიმართულების მოთხოვნილების-და-გვარად ამ ახალ ამბების განმარტებას, ახსნას.

ჩვენში კი გაზეთის დანიშნულება ცოტა განსხვავებული უნდა იყოს. ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ გაუნათლებელი ხალხია, წიგნებისა და ჟურნალების კითხვას არ არის შეჩვეული, გაზეთს ჰკითხულობს, იმასაც შედარებით ცოტა და გაჭირებით. ამიტომ

---

## ფელეტონი

### ქიზიყური სახალხო ლექსი *)

ვაი, სესიავ, სესიავ! შენ წამიყვანე ტყეშია,
ნადირის ქებას მოგიყვე თეთრობიანის ველშია,
იქ რომ ტახმა გაირბინოს, მაღალია და მრეშია;
დაუჩოქე და ვესროლე, მოვარტყი მეჯის თავშია.
წავიდა სისხლის ღვარები, ჩავიდა დაქრილებშია;
მომიბრუნდა, კბილი მომკრა ამ სისქე ბარძაყებშია,—
წავიდა სისხლის ღვარები, ჩავიდა პაჭიჭებშია.
ვნაყე და ვნაყე წამალი, მიწა ავფშრუკე შარდშია..
დავლონდი—როგორ წავიდო ეს ამოდენი ლეშია?
თოფი მუხასა ავჰყუდე, ჯოხი ავიღე ხელშია,
თეთრობიან გადვირბინე, ერთი არ დამიხვნეშია;
ჭაბაშვილი **) შემეყარა თოფიან-ჩახმახიანი,
ორლობე ჩამარბეინა, ორლობე ტალახიანი.
თოფმა თქვა: ჩემსა პატრონსა ჩემს უკეთესი რა ჰქონდა?
ერთი ჩახმახი ზედ მერტყა, მეორე კიდე სხვა მქონდა,
საითაც კი გამიშვერდა, პირიდამ ცეცხლი გამქონდა!
ჩემი ნახოცი ნადირი ყვავსა და ყორანს გაჰქონდა,
ერთი ისეთი თხა მოვჰკალ, თექვსმეტი ადლი რქა ჰქონდა,
თავადსა და აზნაურსა საქებურათ ისა ჰქონდა!..

*) ეს ლექსი მივიღეთ ჩვენ ბ. ს. ნასიძისაგან.

**) ჭაბაშვილი—გმირი ქიზიყში.

### მეგობრული ბაასი

(სტოლთან სხედან ბართლომე და მარკოზა, მსხლის წყალს სვამენ)

**ბართლომე** (სიცილით)

როგორ არა ვსთქვა, რაც მაქვს სათქმელი,
თუ კი პირში მაქვს მე ენა სველი;
მეტადრე ეხლა ისე გავმხეცდი,
როგორც რომ ვეფხვი სისხლისა მსმელი!

—

როგორ არა ვსთქვა, სიცილად ხდიან
ყოველ შენს სჯასა და ლაპარაკსა;
არც კი სცხვენიათ,—ბოდიშს იხდიან,
რომ „თქვენი ჰაზრი ჰგავსო არაკსა!..“

—

რას იცინოდნენ ეხლა ის ორნი
ცრუ ადვოკატნი, იურისტები;
ლიტერატორთა თან არა სწორნი,
მხოლოდ ჯაგლაგი ჟურნალისტები?!

—

ეხლა ჩუმათ ვარ! მაგათ ვაჩვენებ,
დავწვა, დავხრუკო, როგორც აბედი!
ვფიცავ, დღე და ღამ არ მოვასვენებ,
ჯერ გამოვიდეს ჩვენი „იმედი!..“

**მარკოზა** (სიცილით)

უცხოთ სჯი! საქმე სულ მაგრძნობინე,
მაგრამ დამშვიდდი, სვი ორი ყლაპი;
თუ თავი გიხურს, შემატყობინე,
ეხლავ დაგადვა სველ-სველი ტყლაპი!..

**ბართლომე** (წყენით).

აბა რას როშავ, რა გიპასუხო,
ჵაცს გული მიწუხს, შენ იკრიჭები?!
თუ რამ სათქმელი, სიცრუით უხვო,
გაქვს, გაათავე, რას იპრანჭები?!

**მარკოზა**

გეტყვი, დამშვიდდი, ჩემო ოტელო,
და ყოველ ჩემს ჰაზრს დაგიზიარებ!..
ცრუ ფილოსოფო—არისტოტელო,
მართალი გინდა? ჰა, ვაღიარებ:

—

როგორ არ არის ეს სასაცილო,
რომ სულ იძახი, შე დალოცვილო:
„მთლად შეიცვლება საყველას ბედი,
ჯერ გამოვიდეს ჩვენი „იმედი!“

—

„იმედით“ ჰფიქრობ შენ, შეაძრწუნო
მთელი ევროპა, მთელი აზია;
ის კი არ იცი, ჩემო ურწმუნო,
რომ ყველა ესა არს ფანტაზია.

**ბართლომე** (გულ-მოსული).

უნდა დაგასკდეს ეხლა თავზედ ცა!..

**მარკოზა.**

გთხოვ, მომითმინო, ცოტა დამაცა!..

ჩვენებურ გაზეთს, პირ-და-პირ საგაზეთო ხასიათს გარდა, უნდა ჰქონდეს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, პედაგოგიური ხასიათიც; ის უნდა იყოს ხალხის დამრიგებელი, სწორ გზის მაჩვენებელი, აღმზრდელი; ის უნდა იყოს ნამდვილი, ჭეშმარიტ აზრებისა და მიმართულების გამავრცელებელი ამ გაუნათლებელ, უგზო-უკვლო მცხოვრებ ხალხისა. მარტო ახალი ამბების შეტყობა არ ეყოფა ჩვენს მკითხველს. იმას უნდა დაუდევნო ეს ახალი ამბავი, უნდა უთხრა—ცუდია ის, თუ კარგი, სასარგებლოა ჩვენთვის და ქვეყნისთვის, თუ არა. ტყუილა როდია ნათქვამი, რომ გაუნათლებელი ხალხი ბავშსა ჰგავსო. ბავშს აღმზრდელი, დამრიგებელი ეჭირვება, და სხვათა შორის ეს მოვალეობაც უნდა იკისროს უეჭველად ყოველ ჩვენებურ გაზეთმა.

ასრულებდა ამას ახლად-მიცვალებული გაზ. „ობზორი“, თუ არა?

ახლად მიცვალებულია; ამბობენ, მიცვალებულზედ ან სული ნუ რას იტყვიო, ან თუ იტყვი, კარგი რამ უნდა სთქვაო. მაგრამ ჩვენ ამ ძველ რომაელთაგან გამოთქმულის აზრის თანახმა ვერა ვართ; ჩვენ გვგონია, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება ყოველთვის და ყოველგან უნდა ითქმოდეს. ამის გამო ვამბობთ:

სამწუხაროთ, „ობზორი“ ვერ ასრულებდა ამ მოვალეობას, გაზეთის დანიშნულებას.

მართლა რა იყო ბ. ნიკოლაძის გაზეთი?

როგორც არა-ერთხელ გამოთქმული ჩვენს გაზეთში, ის იყო მხოლოდ ბ. ნიკოლაძის ვნებათა გამომთქმელი იარაღი, იარაღი, რომლის საშუალებითაც ის იყრიდა ჯავრს იმათზედ, ვინც იმას თაყვანს არა სცემდნენ, ვინც იმის ხშირად ცუდსა და ხეპრულ აზრებს ეწინააღმდეგებოდნენ, ვინც რაიმე წუნსა და ნაკლულევანებას ჰხედავდა იმის ნაწერებში. ქვეყნის სიკეთე, საზოგადო საქმეების წარმატება იმას არა-რად მიაჩნდა, თუ ხედავდა, რომ ამ საზოგადო საქმეში იმას ადგილი არ უჭირავს, თუ გრძნობდა, რომ ეს ქვეყნის სიკეთე იმას სახელს, პატივს არ შეჰმატებს. პიროვნება, პიროვნება, პიროვნება!—აი დევიზი ამ კაცისა და იმის გაზეთისა. რას მიქვიანო სიმართლე, ჭეშმარიტება, ლიტერატურული პატიოსნება, თუ კი ეს სიმართლე და ჭეშმარიტება მე არ გამომითქვამს, ჩემს სახელსა და თავ-მოყვარეობას არას შეჰმატებს!.. შენ იმის წინააღმდეგი ხარ, ერთს რომელსამე საგანში არ დაეთანხმე,—შენისთანა საძაგელი, უპატიოსნო და უგუნური კაცი დედა-მიწაზე არ მოიძებნება! მართალი აზრი, ჭეშმარიტებას, ამის შემდეგ, შენ როგორ გამოსთქვამ? ჭეშმარიტება, ყოველი სიკეთე ხომ ჩემი კალმის წვერიდამ უნდა გამოვიდეს,—შენ ვინა ხარ, სიკეთეს, ჭეშმარიტებას, სიმართლეს შენთან რა ხელი აქვს?..

უსაფუძვლო ლანძღვა, პიროვნების ისეთი მხარეების შეხება, რომელნიც შესახებელნი არ არის, კვეხნა, ცილის-წამება, საძაგელი სიტყვები, რომელიც ლიტერატურაში სახმარებელი არ არის, ბოროტ-მოქმედება წერით და სხვა ამ გვარი რამეები შემოიღო იმან ჩვენს ლიტერატურაში.

ამ ორიოდე სიტყვით გამოიხატება ბ. ნიკოლაძისა და „ობზორის“ ხასიათი.

ამას გარდა ამ კაცსა, იმის გაზეთს აღევთ ერთი ლაქა, რომელსაც მე, ქართულ საქმის ცუდათ თუ კარგათ მოღვაწე, არასოდეს არ ვაპატიებ:

ბ. ნიკოლაძემ იქ დროს დაიწყო თავის საკუთარ გაზეთის გამოცემა (გახსნა „საკუთარი დუქანი“, როგორც თვითონ სთქვა პირველს ნომერში), როდესაც ჩვენში ფრთებს ევვეცებოდათ ახლად-მიცვალებულ შელიხოვსკისა და იმის გვარ კაცების სწავლას, ქადაგებასა და მიმართულებას; როდესაც ქვეყანა ტყობულობდა, რომ ჩვენც ერთი რამ ვყოფილვართ, რომ ჩვენც გვქონია მწიგნობრობა, ლიტერატურა, როდესაც ჩვენი ცრუ-პედაგოგები იძულებული შეიქმნენ, რომ ახალ-გაზრდობის აღზრდაში სამშობლო ენისთვის ჯეროვანი ადგილი მიეცათ, მიელოთ მხედველობაში ერთის მხრით გაზეთებისა და მეორეს მხრით თვითონ საზოგადოების მოთხოვნილება; ეს იყო ის დრო, როდესაც „დროება“ და „თფილისის მოამბე“ გაცხარებულად იბრძოდნენ იმაზედ, რომ პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა სამშობლო ენაზედ ყოფილიყო, როდესაც გაცხარებული სტატიები იბეჭდებოდა თფ. სასულიერო სემინარიის საძაგელ წესებზედ, როდესაც, ერთის სიტყვით, თითქო პირველად დავიწყეთ გამოღვიძება...

ამ დროს დაიბადა „ობზორი“ და პირ-და-პირ გამოაცხადა ჩვენი მტრობა და მიემხრო იმათ, ვინც ჩვენი მტერი იყო. თითქმის ყველაფერს, რაც ჩვენის ხალხისათვის სასიკეთოდ, ფეხზე წამოსაყენებელ და გამოსაფხიზლებელ საშვალებად მიგვაჩნდა, იმან ოხრის გათხრა, ვნების მოტანა, ძალის წართმევა მოუნდომა.

რასაკვირველია, ამით იმან ვერც ერთს ამას ბევრი ვერაფერი ვნება მოუტანა; მხოლოთ ცოტათი გაამხნევა ისეთი პირები, რომელთაც ჩვენ ვებრძოდით, რომელნიც ჩვენის საქმისათვის მავნებელ პირებათ მიგვაჩნდა; გაამხნევა ისეთი პირები, რომელთაც ჩვენი გადაგვარება უნდოდათ, რომელთაც არ უყვარდათ არც ქართული მწიგნობრობა, არც ქართული განათლებული ახალი-გაზრდობა და საზოგადოთ არაფერი ქართული.

აი ეს დიდი და წაუშლელი ლაქა აძევს ამ ახლად მიცვალებულ გაზეთსა, ლაქა, რომელსაც მე ქართველი კაცი, ჩემ დღეში არ მიუტოვებ. და ამიტომაც „ობზორის“ მიცვალება, დაუფარავად ვამბობ ამას, სრულიად სამწუხაროდ არ მიმაჩნია, არ მიმაჩნია იმისთანა გარემოებად, რომლისათვისაც ქართველ კაცს თავის-შეტკენა მმართებდეს...

ს. მ.

## ახალი ამბები

ჩვენში და რუსეთშიაც ბევრი სახელმწიფო მიწებია, რომელსაც სახელმწიფო ქონებათა გამგეობა იჯარით აძლევს ხოლმე მსურველს. უფრო ხშირად ამ იჯარის ამღებლებად ჩნდებიან იმისთანა პირნი, რომელთაც რომელიმე დიდს სახელმწიფო ალაგს აიღებენ და შემდეგ ამ ალაგს ნაწილ-ნაწილად ჰყოფენ და თავის მხრით ერთი-ორად და ერთი-სამად აძლევენ იჯარითვე გლეხებს.

რუსულ გაზეთებში იწერებიან ახლა, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვსო, რომ ეს გლეხ-ხალხისათვის დამაზიანებელი წესი მოსპოსო. ამისთვის მთავრობა აპირებს იმისთანა კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც იჯარით ამღებს

---

მითომ „იმედით“ სამშობლოს ჰმართავ,
სულ მაზედ ჰფიქრობ, გლვიძავს, თუ გძინავს;
ბოშბორის მთაზე რკინის გზას ჰმართავ,
ქსანში, არაგვში გემებსა და ნავს!..

„რა რომ „იმედი“ ქვეყნად გამოვა,
ამბობ, პაქვასი უცბათ შეიძვრის
და სიხარულით მკვდარი მამა-პაპათ
საფლავიდგანაც კი ამოისვრის!“

„სამი მზე ცაზი გაგვიბრწყინდება,
ერთის მავივრად თხუთმეტი მთვარე:
მზაკვრ-ბოროტება სულ მოისპობა,
და დამშვიდდება ეს არე-მარე!

„ღმერთო! მაღირსე ორიოდ წელი,
რომ მოვეწიო ჩემ გულის თქმასა:
ჩვენს ლიტერატორთ დაუწყვეტო წელი
და ვახლევინო მათ თავი ქვასა!“

ეს არის მხოლოდ შენი სურვილი!
ღმერთსა ვსთხოვ, მალე მიგახწევინოს,
და რა მოიკლა ეს წყურვილი,
ეგ ჰაზრი, მაშინ მან გათქმევინოს!..

—

რა შეგისრულდეს გულის წადილი
და გაგილიმდეს წინა-მორბედი,
მაშინ რაც ვსურდეს, ის მოიქმედე:
ხელთ გეკავება შენი „იმედი“!!

მხოლოდ მაშინ სთქვი, მაშინ იყვირე,
რაც ეხლა გულში გამოგეხატა;
თორემ ხომ იცი, ნათქვამი არის,
თაგვს ვერ დაიჭერს მჩხავანი კატა!

ბართლომე.

როგორ? ჩვენში ჰგრძნობ სულ-მოკლეობას
და მიტომა ჰგმობ ახალ-თაობას?!
მას კი ვერ ჰხედავ შენ ბნელის თვალით,
რაც წინ მიუძღვის ჩვენს მოძრაობას!..

—

შენ თვალით ხედავ, ჩვენი მწერლები
სისუქნისაგან ძლივს-ღა იძვრიან;
თამამათ რჯულის, ენის მცველები
ხელს არა სძრამენ, უსაქმოდ ჰყრიან!!.

—

სამშობლო ენის ერთი გაზეთი
თითქმის თხუთმეტ კაცს ხელში უჭირავს;
მაგრამ რას იზამ, ჩამოსდით ზეთი:
ყველა მათგანი ოხრავს და გრგვინავს!

—

ყველა მათგანი ფილოსოფია:
მინ რას შეჰკადრებს ღრმა ჰაზროვანსა!!
ჰპა თუ როგორ მომდის ცოფია,
მე ვაჩვენებდი მაგ კეთილ გვამსა!..
მგ ერთი შვილი უმანკოების
საქართველოსი მათ ხელში კვდება...

მარკიზა.

გთხოვ ნუ ეძლევი ფიქრს შეცოდების,
შენი თქვენგანი ვერ მოესწრება!

ბართლომე.

მაშ წადი, ნახე და შეაჩერდი,
აგერ „დროება“ და „ივერია“!..

მარკიზა.

ჯერ კი ამას გთხოვ, ცოტა შეჩერდი:
ჰაზრები თავში სულ აგერია!..
ჩვენი „დროება“ თოთხმეტი წელი
ჯან-მთელად სცოცხლებს, ბევრსაც
ილოცხლებს,
მიტომ იცოდე, ტყუილა ნუ ელი,
„იმედისაგან“ არრას ითხოვრებს!..

თუნდ მიიცვალოს ჩვენი „დროება“,
მის ადგილს მის ძე დაგვირგვინდება;
შენ კი მას ხარობ, რომე „იმედი“
არც იშობება, არც გადიცვლება!!

ბართლომე (თავ-გამოდებით)

იქნებ გგონია, ამაოდ დარჩეს
ჩვენი შრომანი და მოქმედება?!
არ დაგავიწყდეს, გთხოვ, თავში შეგრჩეს,
უკეთესობა ჩვენ გვებედება!!

—

და მაშინ ნახავ, რაც ხმა მოისმის
ის ხმა იქნება ჩვენის ერიდან,
და მაგ უნიჭო, უქმ-ჟურნალისტთა
სრულად განსდევნის ამიერიდან!
ჩვენ გავაცოცხლებთ სამშობლოს ნეტარს,
თუმცა იტანჯვის მათგან ამიერ;
და მაშინ შევსვავთ ფიალით ნექტარს
და სულ ვიძახებთ „მრავალ-ჟამიერ“!!.

—

. . . . . . .
. . . . . . .
. . . . . . .
. . . . . . .

მარკიზა.

ღმერთმან ინებოს, ჩვენი ყვავები
უმანკო მსტვენარ ბულბულად იქცნენ,
და ჩვენი მშვიდი, ნაზი კრავები
მგლებსა ხოცვიდნენ, არღა გაიქცნენ!..

—

ჩვენი ქათმები ფარშევანგებათ
ჯილა შესხმული დანავარდობდნენ,
და შხამიანი ქინქარ-ასკილი
აქ იაობდნენ და ან ვარდობდნენ!..

ა. ც.

უფლება არა ჰქონდეს, რომ სხვას ვისმე გადასცეს ხაზინისაგან იჯარით აღებული მამული. ამას გარდა ხაზინა დიდ და ვრცელ ადგილებს პატარ-პატარა ნაჭრებად დაჰყოფს და იჯარით გაცემის დროს გლეხებს მისცემს უპირატესობას.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ჩინებული და ყოვლად თანაგრძნობის ღირსი განკარგულებაა.

* * *

როგორც ყოველ ზაფხულობით, ისე წელსაც გაცხარებული მუშაობაა ქალაქში ახალი სახლების აშენებისა და ძველების გადაკეთებისა-თვის. შეძლებულები ესაა, ახალ სახლებს ბლომად აშენებენ, მაგრამ ქირა სადგომებისა კი, გაიაფების მაგივრა, თან-დათან ძვირდება...

* * *

ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი ჩვენს ქალაქში ხორაგეულის სიძვირის, უეჭველია, ის არის, რომ არსად არის იმდენი ჩარჩები გავრცელებული, რამდენიც ჩვენში. ჩვენ გვაცნობებენ სხვათა-შორის, რომ ყაენი თეთრდუქანთან უხვდებიან სოფლიდამ მომავალ ხალხს, ყოველ-გვარ ხორაგს ჰყიდულობენ იმათგან, მერე ქალაქში ჩამოაქვთ და ერთი-სამად ჰყიდიან. ნუ თუ ამის წინააღმდეგ არაფერი საშვალება არა აქვს ქალაქის გამგეობას?

* * *

ხშირი საჩივრები მოგვდის ამ უკანასკნელ დროს იმაზედ, რომ ღარიბ ხალხს ალაგი არა აქვს ქალაქის საავათმყოფოშიო. ადრე ავათ-მყოფს თვეში ხუთ მანეთს ახდევინებდნენ და ახლა 12 მანეთად გახადესო. მაგრამ ვინც გაჭირებით მოახერხებს ამ 12 მანეთის გადახდას, ხშირად იმათაც არ იღებენ, რადგან ალაგი არ არისო.

ამიტომაც ძალიან სასარგებლო იქნება, თუ იმ კერძო საავათმყოფოს, რომელიც გუშინ იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რაც შეიძლება მალე გამართავენ.

* * *

გაზეთს „მშაკში“ შუშიდამ იწერებიან, რომ ადრე ამ ქალაქში გირვანქა პური 13 კაპეიკად იყიდებოდაო და ახლა კი 4 კაპეიკად არისო.

ამ უკანასკნელ თვეებში ქალაქის მეფურნეები მეორე სორტის პურს მეტის-მეტად ცუდსა ჰყიდიან. ფასი რომ გირვანქაზე ახლა ოთხი კაპეიკი გახდა, იმისგან არ არის; წინათ, როდესაც მაური იყო ფასი, ამ გვარივე ცუდი იყიდებოდა. სიცუდე ისა სჭირს, რომ საშინლათ მწარეა, ბევრჯელ პირში ჩაშვება არ შეიძლება. მეორე სიცუდე ისა სჭირს, რომ პირველი სორტისა იყოს, გინდ მეორე სორტისა, რიგიანათ გამომცხვარი არ არის, ბრმაც შეატყობს, რომ ან მოუსვლელი ცომი ყოფილა ან ულვიარია. ამის გამო ჩვენთან უჩივლიათ, რომ მეორე სორტის პური ვერა ვჭამეთ და შინაურ პურუტყვს მივეცით საჭმელათაო.

ეს მეფურნეების უწესობა ადვილათ დასანახავია არამც თუ მივარდნილ ქუჩაბანდებში, ზედ დიდ შუა ქუჩებში და ბაზრებშიაც.

რა მიზეზია, რომ ბაზრის ზედამხედველებს თვალები დაუხუჭავთ. ნუ თუ არ ატყობენ პურს სიმწარეს ან ულვიერობას?

* * *

ერთი შენიშნვა ამ მეპურეებზე კიდევ სათქმელია. რამდენჯერმე გაგვიგონია, რომ ტაქსის გამოცვლის შემდეგ მეფურნები ისევ ძველ ტაქსითა ჰყიდიან, როდესაც ფასი უნდა დააკლონ. ამისათვის მარტო გაზეთებში ტაქსის გამოცხადება საკმაო არ არის, საჭიროა რომ ვისთვისაც ტაქსიაა დადებული ყველა ფურნის და ხაბაზის, ყასბის და სხვების დუქანში წინა ადგილს ქალაქის გამგეობის დაწესებული განცხადება ეკიდოს. ახლა რომ ორიოდ-სამიოდ ადგილ ტაქსის ფურცელი გაუკრავთ, ეს არა კმარა.

ამასთანავე ეს განცხადება მარტო რუსულათ არის, და ხალხს არ შეუძლია კითხვა, ადრე და ადრე კარგი წესი იყო ქართულათაც ბეჭვდისა. საჭიროა უეჭველათ ის კარგი ჩვეულება შემოვიდეს და ხალხის გასაგონ ენაზედაც იბეჭდებოდეს ტაქსიები.

* * *

ფოთიდამ გვწერენ შემდეგს:

ომიანობის შემდეგ ვინც კი ყოფილა ჩვენს ფოთში, თითქმის ყველასაგან გაიგონებთ ამ ჩვენს ქალაქზედ სამდურავს: ფოთი წახდაო, ხალხი აღარ არის, ან რა საცხოვრებელი ალაგიაო, სიცხიანი, ჭაობიანი და ჰაერ წამხდარიაო! მე თითონ დავემოწმები, რომ ფოთი ჭაობიანი ალაგია. მაგრამ კარგი და სასიამოვნო ალაგიცა გვაქვს, მხოლოთ ომიანობის შემდეგ ეს ალაგები პატივდებაში აღარ იყო, რადგანაც ძველი მცხოვრებლები გაფანტულნი იყვნენ; ეხლა ისევ შემოიკრიბნენ, ისევ პატივი დაედო ხსენებულს ადგილებს, ესე იგი საზაფხულო დაჩებს. ძველმა მცხოვრებლებმა ადრე და გვიან ჩამოსულებმა გაუმართეს ვიზიტები დაჩებს, თითონაც ერთმანეთში განაახლეს ძველებური პურ-მარილი, მიდიან ხუთი ექვსი ოჯახები თითო კვირობით, დაჩებში რჩებიან, სარგებლობენ ზღვით და სუფთა ჰაერით. ქალაქში რაც უნდა ცხელოდეს, იქ სიცხეს კაცი ვერ იგრძნობს;

„ამნაირად ჩვენ, ფოთელებს, ეხლა ვეღარავინ ვერ გაგვცინებს: საზაფხულოთ ბორჯომს, აბასთუმანს და სხვა ამისთანა ალაგებში წასვლა არ გვინდა, მხიარულობა და კარგი ჰაერი არ გვაკლია, კლუბიც მხიარული გვაქვს, ცივა თუ ცხელა არის ხალხი, თუ არა მაინც ყოველს აფათობით ბალია და მუზიკით ტანცაობენ.

„მაგრამ ეს კი ცუდია, რომ კლუბიდამ სახლში წამსვლელს უეჭველათ ფანარი უნდა ეჭიროს და დიდი კეტი, რომ ბალის გარეშემო მობალახე ცხენებს აერიდოს, თორემ ოქვენი მტერი თუ უფარნოთ არის, ცხენს ზედ წააწყდება და მდროგის ცხენებმა ტყუპი წიხლების ოინაზე იცის: საზოგადოთ ცხენები რომ ქუჩაში არ იყოს გაშვებული და აკრძალული იყვეს მტრათვის გადახდითა, ურიგო არ იქნება. აქამდინ ღორები გვაწუხებდნენ, ახლა ცხენები...

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

მს ორი წელიწადია რაც შინაურ ექიმობას ვეწევი თრიალეთის საპრისტავოს სოფლებში, მაგრამ წინეთ ბევრი ადგილები დამივლია, არც თუ შიზილბაშის ქვეყნები გადამრჩენია, და თქვენისთანა პატიოსანი კაცი თვალით ბევრი მინახავს და დარიგებაც ბევრი გამიგონია კანონებზედ; თუმცა კი გლეხი კაცი ვარ, მაგრამ ვგონებ, რომ ყოველს წელიწადს არ უნდა იცვლებოდეს სახელმწიფო კანონები. ორი წელიწადი მიდის რაც ომიანობა გათავდა და ჩვენთვისაც ძრიელ სასიამოვნო იყო ომის გათავება, მეტადრე იმიტომ, რომ ურჯულო თათრები დამარცხდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ისა გვაქვს, რომ ომში ბევრი რუსისა, ქართვლისა და სომხის კაი ბიჭები დაიხოცნენ და დაგვაკლდნენ. ეჰ! ღმერთო, სასუფეველი დაუმკვიდრე ომში გარდაცვალებულთა; ისინი მოშორდნენ ამ ცრუ წუთი სოფელსა, მაგრამ იმათი სიკვდილი ძრიელ დააკლდა ჩვენს მხარეებსა, განსაკუთრებით თრიალეთსა.

ომი გათავდა..... თრიალეთში თათრის პოლისციის პრისტავი მობძანდა; დღე გრძელი ბძანდება თავის რჯულით, კარგი მოსული ვაჟ-კაცი ბძანდება, და თანდათან სისუქნე ემატება და უმეტესად შნოში ვარდება. აქამდინ ვერცხლის საათიც არა ჰქონდა, ეხლა თვრამეტ თუმნიანი ოქროს საათი ძრიელ უხდება; ან რატომ არ უნდა მოუხდეს, ვისზედ რა ნაკლები კაცი ბძანდება; თუმცა თავის ჯამაგირს სრულებით თავის მწერალს აძლევს, მაგრამ თრიალეთი დიდია.... წალკა რომ ახალი ყველივით სათლელია...

უმოჩილესად გთხოვთ არ იფიქროთ, რომ თრიალეთის პოლიციის პრისტავი უკანონოთ იქცეოდეს; კანონები ძრიელ კარგა ესმის, რაც გინდ საქმე იყოს თუნდ კაცის-კვლა მოხდეს, ყოველისფერი „გრაჟდანკის დელო არის“, იმან უნდა გაათაოს.... ამისათვის მე ამ ჟამად ყველაფერს თავს ვანებებ და პირველათ სოფლის სტარშინების და სუდიების დაყენებაზედ ვიტყვი.

შარშანდელ 1879 წელსა ბაშკეჩეტში მობძანდნენ თ. ი. ჭავჭავაძე და მიროვოი პოსრედნიკი პავლიევი; იქ დაიბარეს დიდ-გომარელები კომლზედ კაცი. სტარშინის და სუდიების ამორჩევაზედ მოახდინეს კენჭის-ყრა; შემდეგ ამორჩევისა თ. ჭავჭავაძემ და პავლიევმა ხალხს მისცეს მამა-შვილური დარიგება ამორჩეულთა თანამდეობაზედ, აუხსნეს ვალდებულება: ამასთანავე გამოუცხადეს, რომ შემდეგ ფიცსაც მიგაღებინებთო და ვინძლო რომ თქვენი ფიცი უძანკო იყოსო, აგრეთვე ფიცის მნიშვნელობაც აუხსნეს.

შემდეგ რავდენიმე თვისა ეხლანდელ მსუქან პრისტავისაგან მოუვიდათ ბძანება, რომ სტარშინა, სუდიები და კანდიდატები ყველანი უნდა გამოცხადებულიყვნენ ნემენცებში, რომ თანამდებობაზედ მიეღოთ ფიცი, პრისტავისაგან გომარეთის მღვდელსაც მოუვიდა ქაღალდი და ისიც დაიბარეს. მე ჩემის თვალით ვნახე, რომ დიდ-გომარეთის მღვდელი თავისის მთაურით, სტარშინა, სუდიები და კანდიდატები, მიბძანდებოდნენ ნემენცებში პრისტავთან, რომ ამორჩეულ თანამდებობაზედ ხალხს უნდა დაეფიცნათ. რასაკვირველია, რომ იმათი წაბძანება ყველა ხალხმა გაიგო, და ლაპარაკი ხალხში ხშირი იყო, რომ ახალი ამორჩეულნი სტარშინა და სუდიები დასაფიცებლად წაბძანდნენო, რაკი დაიფიცებენ, ფიცისა შეეშინდებათ და სამართალს სწორეთ გასჭრიანო. თურმე ნუ იტყვით, გომარეთის მღვდელი მიბძანდა პრისტავთან, ეთხოვნა დასაფიცებლათ რაღაცა ფიცის „ლისტი“; პრისტავსაც მიეცა; მაგრამ იმ მღვდელს წინ-და-წინ თვითონ წაეკითხა, ენახა, რომ თათრის რჯულის ფიცი ყოფილიყო; ამაზედ ცოტაც შელაპარაკებულიყვნენ და აი ეს მეორე წელიწადია, რაც დიდ-გომარეთის სოფლის სტარშინა-სუდიები თანამდებობაზედ დაუფიცებლათ არიან, ისრე სამართალს სჭრიან.

თუ დაფიცება სტარშინებისა და სუდიებისა არ იყო საჭირო, წინ-და-წინ რაღათ აფიცებდნენ, თუ ამ ერთ წელიწადში კანონი გამოიცვალა და დაფიცება გადავარდა, ისიც არ ვიცი; მაგრამ ფიცი ძრიელ საჭირო იყო იმიტომ რომ გლეხს-კაცს ძრიელ ერიდება ფიცისა და სამართალს სწორეთ სჭრიან, დაუფიცებელი სტარშინა და სუდიები, რასაკვირველია, რომ პრისტავს კარგათ გაასუქებენ, სისუქნეც ძრიელ საჭირო არის თრიალეთზედ.

. . . . . . . . . . .

ექიმი კოშლი-სესიკა.

დიდ-გომარეთი, 12 ივლისს.

## უცხოეთი

**წვრილი ამბები:** ქვემო პალატის სხდომის დროს ბ. გლადსტონს შემდეგი უთქვამს აღმოსავლეთის საქმის შესახებ: „თუ რამე ხეირიანი საქმე გაგვიკეთებია აღმოსავლეთში უთუოდ ევროპის თანხმობის წყალობით. „გაურეველობის“ პოლიტიკა არ შეიძლება უსხოლიოდ მიღებულ იქმნას. ევროპის და ოსმალეთის პატივისცემა და უშიშრობა მოითხოვს, რომ ოსმალეთის არეულ-დარეულ საქმეთა გადაკეთებისათვის სათანადო ღონის-

ძიებანი იქმნან მოპოებულნი. მე იმედი მაქვს რომ პალატის უმრავლესობა მე მხარს მომცემს ამ განზრახვის შესასრულებლად.

—

Თვრამეტს ივლისს Გამბეტტას სიტყვა წარმოუთქვამს Ბელვილლ'ში, რომლის წარმომადგენლად იგი მეთერთმეტე წელიწადი არის სავარტომო კრებაში. Ამ სიტყვით იგი ურჩევდა თავის ამომრჩევლებს, რომ თანამედროვე საზოგადოებრივის წყობისა დაცვა უსათუოდ საჭიროა და ამტკიცებდა ეხლანდელი მმართებლობის კანონიერებას. Სხვათა-შორის მან სთქვა, რომ ნეტარების დროს არ უნდა დავივიწყოთო ჩვენგანვე გამოვლილი უბედური თავ-გადასავალნი. Ჩვენ უნდა შევფიცოთ სამშობლოს და მხნე მხედრობისაგან ახლად მიღებულ დროშებსა, რომ მუდამ ვიქმნებით კანონის ნიადაგზე, ურომლოდაც მომავალში მხოლოდ დაღუპვას უნდა მოველოდეთ.“ Საზოგადოებას აღტაცებით მოუსმენია ეს სიტყვა თავის სასიქადულო მჭევრ-მეტყველისა.

—

*Indépendance Belge*-ის კორრესპონდენტის სიტყვით Გამბეტტის მოწინაალმდეგებს სურვებიათ იქვე მეორე კრება მოეხდინათ და თავ-მჯდომარეთ Ჰანრი Როშფორი მოეწვიათ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, რადგანაც უფიქრნიათ იმდენი არვინ დაგვესწრებაო და ტყუილა-უბრალოდ შევრცხვებითო.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

Ვტოვებ ტყის ვაჭრობასა და ამის გამო, რადგან კიდევ დარჩა გაუსაღებელი 5,000 **ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲤᲘᲪᲐᲠᲘ ᲤᲘᲭᲕᲘᲡᲐ** და **ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲐ** 1¹/₂ ვერშოკიდამ 1 დიუმამდინ (გოჯამდინ) სისქით, ვყიდი ამ ტყეს მასალას და ვისაც ჰსურს შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკს Ბუჭყიევს, Არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

Თუ მსურველი აღმოჩნდება და ყველა ამ მასალას ერთად იყიდის, თითო ფიცარზე 5% დავუთმობ.

Აქვე იყიდება გერცკალური ხეების გადასატანად.

(3—1).

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

# ᲘᲐᲒ. ᲥᲐᲡᲣᲛᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

Თავის პაიშჩიკებს, შემომტანლებს (ვკლადჩიკებს) და საზოგადოთ ყველა ინტერესის მქონე პირთა, რომ რადგანაც საქმე მატულობს ამ სახლის მთავარი კანტორა ამ წლის 1 აგვისტოდამ გადიტანება გ. Ჯაყელის სახლის ზემო სართულში Ბანოვის ქუჩის და Ერევნის მოედნის კუთხეში. Ფულის გასასესხებლად, გადასახადის და შემოსატანის მისაღებად კანტორა გაღებულია საქმის დღეებში დილის 9 საათიდამ შუადღის 2-მდე, კვირაობით 8-დამ დილის 10 საათამდი.

Იყიდის 1 და 2 შინაგან მოგებიანს სესხის ბილეთებს და თვითონვე ჰყიდის ამ გვარებს და ფასის გადახდას 12 თვით ადროვებს წვრილ-წვრილად შემოტანით. Ბილეთის ამ ნაირად მყიდველს მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც მოსალოდნელია წლის განმავლობაში ერგოს 20 ბილეთებს, რომელიც მოხსენებულია ოთხის ტირაჟის მოწმებაებში. Იყიდის და გაჰყიდის კერძო პირთა მონდობილობით ყოველგვარ უძრავ ქონებას. Მიიღებს საკომმისიო და გასაყიდად: საქონელს და მასალას. Ჰყიდის დაბეჭდილ პირობებს სახლის დათმობისაზე, დუქნების და ცარიელ ადგილების გაქირავებაზე.

Შესანახავად შეტანილს ფულზე აძლევს პირობის გამოცვლამდის:

1) Შენახვის ანგარიშით და მოთხოვნამდის — — — — —4¹/₂%

პირობით 4¹/₂%

2) Ვადით შენახვაზედ. 6 თვით 5¹/₂%

9 თვით 6¹/₂%

1 წლით 7¹/₂%

1¹/₂ წ. 8¹/₂%

2 მეტ. წ. 9%

3) Საგანგებო პირობით შესანახავად შემოტანილს ფულზე 1 ხარისხის პაიშჩიკებს ამხანაგობისას — — 9%

Ვექსილით ფულის გასესხების დროს უწყებულ პირთა თავდებით ახდევინებს თვე-და-თვე გადასახ. სესხზე — 10%

Კვირ-კვირაობით — — —9%

Დაწვრილებითი ცნობა და ახსნა მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე კანტორის გამგესთან.

(5—5)

**Სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა**

ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲕ

# ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის

ფ ი რ მ ი თ

Ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

Ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

Ჩვენი მაღაზია არის Გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, Ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული




**ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐᲝᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,

# ᲒᲐᲚᲛᲐᲜᲘᲜᲘ

(Гальманинъ)

იყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფ ა რ მ ა ც ი ი ს მ ა გ ი ს ტ რ ი ს გ. კარპინსკის აფთიაკში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(25—16)

ᲛᲡᲣᲠᲡ ᲕᲘᲧᲘᲓᲝ

# ᲡᲐᲒᲐᲚᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲝᲡᲢᲜᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

წყლის პირას, სივრცით 25 **ᲓᲔᲡᲘᲐᲢᲘᲜᲐᲛᲓᲘᲜ**, რომლის ფასი არ აღემატებოდეს 3,000 მანეთს და რომელიც ოც ვერსტზე შორს არ იმყოფებოდეს Თბილისიდამ.

Ვისაც აქვს ამ გვარი გასაყიდი მამული, ვთხოვ მაცნობოს ამ ადრესით:

Თბილისს, სასახლის ქუჩაზე, ხარაროვის მაღაზიაში.

ა. ჯაბადრიშვილი.

(4—3)

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲘᲓᲡ

# ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ

ᲓᲠᲝᲡ,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე შჩოთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. Ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ... 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიურ ... 3 მან. და სხვ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.**

(40—36)

**ᲞᲐᲠᲣᲡᲘᲜᲐ**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, იყიდება ინგლისის მაღაზიაში.

ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲢᲙᲔᲑᲘ

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.**

(100—26)

**ᲛᲣᲠᲐᲑᲐ** გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე იყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**ᲙᲐᲠᲑᲝᲚᲘᲡ** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისი მაღაზიაში.**

(40—22)

ᲓᲐᲒᲝᲚᲝᲔᲑᲘᲗᲘ

# ᲓᲐᲧᲘᲓᲕᲐ

Ამ თვის ბოლომდის **ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში.** Ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პარუსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად ვიდრე სხვაგან არის.

(10—7)

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲡᲢᲐᲢᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

Მომავალს 18⁸⁰/₈₁ აკადემიურს წელიწადს Გორის საოსტატო სემინარიაში შემოსვლის მსურველთათვის არის 4 დაუჭერელი ვაკანცია მოსამზადებელ კლასში და 6 პირველში. Მიღებისათვის არზები 15-ს აგვისტომდი მიიღებიან. Საკონკურენტო ეგზამენები 20-ს აგვისტოდამ 25-მდე იქმნებიან მოხდენილნი.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 Іюля 1880 г. Типографія Меликова. Გამომც. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. Რედაქტორები ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ და Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ